

Arabesque

„არაბესკი“ შერნალი ბალეტზე

No2'06







ჩვენ ვზრუნავთ

Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე

No2'06

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი



საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

02 ნინო ანანიაშვილი: „შიზალს ხვარი სჟავას, მახრამ განლა შიზალი – ძნელია!“

04 ვერა ნიზნაძე –
ის სხანას შიზალით დაეშვიდობა

05 მარად თანამედროვე და უკვდავი „შიზალი“

08 „Duo Concertant“. „ტარანტულა“

08 ქართული კინოლოკუმიტაციისტი
სტუმრად ბალანჩინთან

10 მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები:
იზორ ზალდესკი

12 დიდი თეატრის სოლისტები თბილისში

14 სპექტაკლის პირობაფია –
„რომიო და ჯულიეტა“

15 დამდგამელი მხატვარი
სხანაზე ერთხელ გამოვა

18 მარია ალექსიძე –
მისთვის მთავარი საქუთარი ხელწერა

18 სახსლოვანი ესკადა
მისიელ მანაბლის შესრულებით

19 ანა მურადლის
პაროვანი ოღება-ოღილია

20 ნინო ანანიაშვილის ფონდის
პირველი ღონისძიება

20 ქართულ ბალეტს
მეგობრები მოუბრავდნენ

„არაბესკის“ მეორე ნომრის გამოსვლა ისევ პრემიერას ემთხვევა — საბალეტო დასი მაცურებელს სთავაზობს სერგეი პროკოფიევის ბალეტს – „რომიო და ჯულიეტა“, რომელიც თბილისელებისათვის კარგად ნაცნობმა ბალეტმაისტერმა მიხეილ ლავროვსკიმ დადგა.

ჟურნალის ახალი ნომრის პრემიერის დღისათვის გამოცემა შეიძლება ერთგვარ ტრადიციადაც დამკვიდრდეს, რადგან ბალეტის მოყვარულთათვის ასეთი დღესასწაულები თეატრში უკვე ხშირად იმართება. პირველი ნომრიდან მეორემდე, საბალეტო დასმა ორი პრემიერა აჩვენა მაცურებელს – დაიდგა ადანის „ჟიზელი“ და ბალანჩინის ორი ბალეტი-მინიატურა. მათზე საუბრით იხსნება ჩვენი ჟურნალი. გთავაზობთ სხვა საინტერესო მასალებს.

და როცა ჟურნალს ბოლომდე ჩაიკითხავთ, ვნებათაღელვანი ახალი საპრემიერო სპექტაკლის გარშემო უკვე ჩავლილი იქნება. დარწმუნებული ვართ, რომ „რომიო და ჯულიეტას“ თბილისური ვერსია მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება თეატრის ცხოვრებაში. ამაზე და განვლილი ორი სეზონის მნიშვნელოვან მოვლენებზე შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ!

ჟურნალში გამოყენებულია იგორ ზახარინის, მონრო ვარშაეის, ლადო ვანნაძის, იური მენიუოვის, გოგა ჩანადირის ფოტოები, აგრეთვე მასალები ბალეტის სოლისტთა პირადი ფოტოარქივებიდან, ქართული თეატრის საცავის, თეატრის მუზეუმის ფონდებიდან. პირველ ნომერში გამოყენებული იყო შორენა მერაბიშვილის ფოტოები.

გარეკანზე: პირველ გვერდზე – სცენა ბალანჩინის ბალეტიდან „აპოლონ მუსაგეტი“ (აპოლონი – იგორ ზელენსკი, ტერფსიქორე – ლალი კანდილაკი, პოლიჰიმნია – ანა მურადელი), ლადო ვანნაძის ფოტო. მეორე გვერდზე – ნინო ანანიაშვილი (ჟიზელი), ანდრის ლიეპა (ალბერტი), მონრო ვარშაეის ფოტო (1987). მეოთხე გვერდზე – ნინო გოგუა (ჟიზელი), გოგა ჩანადირის ფოტო.

რედაქტორი ილია თაყვაიძე
ტექნიკური რედაქტორი ქეთევან ნოზაძე
დიზაინი ბასიკ ლანაძე

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25, ტელ.: 98 32 54, 99 93 64

www.ballet.ge



ნინო ანანიავილი:

„ქიჯელს

ბეპრი ტეკეპას,

მაგრამ გახდა ქიჯელი - ბნელია!“

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელთან ინტერვიუ მიმდინარე სეზონის მორიგ პრემიერაზე – „ქიჯელზე“ საუბრის მიზნით ჩავიჭირეთ. მაგრამ თავად საუცხოო ქიჯელისთვის შეუძლებელი იყო არ გვეკითხა ზოგი რამ მის მიერ ამ პარტიის მომზადების ისტორიიდან. ასე იწყება ჩვენი ინტერვიუ ნინო ანანიავილთან:

ქალბატონო ნინო, მაცურებელი არაერთხელ მოხიბლულა თქვენი ჟიზელით. ეს პარტია დიდ თეატრში ოდნავ გვიან იცეკვეთ. იქნებ გაიხსენოთ, როგორც მოამზადეთ იგი.

ჟიზელის მომზადება უცებ მომიხდა. დიდ თეატრს საფრანგეთში გასტროლები ჰქონდა და პროდიუსერმა მოითხოვა ყოველი სპექტაკლი ახალ შემადგენლობას ეცეკვა. ამიტომ, მე და ანდრის ლიეპა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა წამყვანი სოლისტები, ერთ-ერთ შემადგენლობაში დაგვაყენეს. ჩემი პედაგოგი ქალბატონი რაისა სტრუჩკოვა ძალიან მომთხოვნი გახლდათ. ტექნიკის გარდა, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სულიერ განწყობილებას, გამოხატვას. ერთი ნუთითაც არ მაძლევდა საშუალებას მოვდუნებულიყავი, მუდმივად მაკონტროლებდა როგორ ვიდექი, როგორ მეჭირა თავი, როგორ მქონდა ხელები. ბედნიერი ვარ, რომ მასთან მომიწია თითქმის ყველა წამყვანი პარტიის მომზადება. თვალწინ მიდგას თავისი დიდი, ცისფერი თვალებით, შავი თმით... თითქოს რადიოსპექტაკლს ვუსმენდი. და ახლა, როცა ნინო გოგუას ვუხსნიდი პირველი მოქმედების სცენებს, თითქოს რაისა სტრუჩკოვას რადიოჩანაწერი მქონდა ჩართული და ისე ვსაუბრობდი; მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნაცეკვი მქონდა წამყვანი პარტიები „დონ კიხოტში“, „გედების ტბაში“, „რაიმონდაში“ ჟიზელისთვის ხელის მოკიდება მეშინოდა. რაისა სტრუჩკოვა სულ მეუბნებოდა – შენ იმდენად კარგად ეცეკვავ მირტას, რომ ჟიზელი თუ არ გამოვიდა ყველა იტყვის „Что ты Мирта, а не Жизель“.

გასტროლებამდე რამდენიმე დღით ადრე თეატრის დერეფანში მოწყენილები მოვდიოდით. შეგვხვდა ბატონი სოლიკო ვირსალაძე, გამოგვიკითხა მიზეზი და გვითხრა: „Чем раньше вы начнете, тем раньше вы станете Жизелью“. ამან გადამწყვიტა ჩემი ჟიზელის ბედი.

ყველაზე დიდი კომპლიმენტი, რაც შეიძლება მსახიობმა მიიღოს, ეს არის კორდებულეტის, პედაგოგების, თეატრის მუშაკების შეფასება (მაცურებელი მაინც ყოველთვის დამთმობი და შემწყნარებელია). ბევრმა მითხრა – ჩვენ ყოველთვის მირტა გვეგონე, ამ დროს საუკეთესო ჟიზელი აღმოჩნდი!

ფოტო: იუსთავილე ალბანი / სასაზღვრო საზღვარგარეშე

მირტას პარტია არანაკლებ წარმატებული იყო თქვენს რეპერტუარში.

მირტას ცოტა ხანს ვცეკვავდი. ჩემი გამოსვლები სცენაზე სულ შემთხვევით ამბებს უკავშირდება. მირტას პარტიაც ასე მოვაშადა. მსახიობი ავად გახდა და მის ნაცვლად დამნიშნეს. მასსოვს რეპეტიციას რაისა სტრუჩკოვა მეუბნებოდა: „ЭТО не Жизель, это Мирта. Нос сверху“. მართალია მირტა ძალიან მიყვარდა, მაგრამ შინაგანი განწყობით უფრო ჟიზელი ვარ. ისეც ყოფილა, რომ გასტროლებზე ერთ დღეს ჟიზელს ვცეკვავდი, ერთ დღეს მირტას, რაც, დამეთანხმებით, რთულია. მაგრამ შემდეგ, როცა ჟიზელის ცეკვა დავინწყე, მირტა აღარ შემისრულებია. ამ პარტიის შემსრულებელი დიდ თეატრში ყოველთვის უფრო ბევრია. ჟიზელსაც ბევრი ცეკვავს, მაგრამ გახდეს ჟიზელი ადვილი არ არის!

რა შეცვალეთ ჟიზელის პარტიაში, რა არის იქ თქვენი, როგორი ინტერპრეტაცია მოუქმენეთ. განსხვავდება დღევანდელი შესრულება წინა შესრულებისაგან?

ყველაზე რთული ინტერპრეტაციაში არის ის, რომ იყო სხვანაირი, არ ჰგავდა სხვას. მაგრამ, რაღაცით უნდა დაინყო, ვისიმე ხელმძღვანელობით. ისეთი პედაგოგები რომ არ მყოლოდა – როგორებიც იყვნენ ნატალია ზოლოტოვა სასწავლებელში და შემდეგ რაისა სტრუჩკოვა თეატრში, ბევრი რამ არ მეცოდინებოდა. კარგი სკოლის გარდა, მათ ბევრი ნიუანსი მასწავლეს. წარმოიდგინეთ, მთელი ჯაჭვია – მარიუს პეტიპას მოსწავლე იყო ელიზავეტა გერდტი, რომლის მოსწავლე იყო ჩემი პედაგოგი რაისა სტრუჩკოვა. ეს ყველაფერი დროში ძალიან ახლოა ერთმანეთთან, და ვერც ერთი ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერი ვერ გადმოგვცემს იმას, რასაც მისი რეპეტიციები მაძლევდა. ყველაფერ ამას დაუმატე ჩემი ხასიათი, ახალი ნიუანსები. დღეს ჩემი ჟიზელი არ არის ის, რაც იყო ოცი წლის წინათ, შინაგანი სამყარო იცვლება, ბევრს სწავლობ, ნახულობ, მაგრამ ქორეოგრაფიაში არაფერს ვცვლი. დანარჩენი თავისთავად იცვლება, ჩემდა უნებურად. ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა.

ამ სპექტაკლში თქვენ მსოფლიოს თითქმის ყველა თეატრში იცეკვეთ. ალბერის პარტიაში პარტნიორობას გინევრად უამრავი საუკეთესო მოცეკვავე, რომელს გამოყოფდით?

პირველი ალბერი, ვისთანაც ვიცეკვე, ანდრის ლიეპა იყო. ძალიან მიყვარდა ალექსეი ფადეევიტან ცეკვა. ჩვენი დუეტი მართლაც საინტერესო იყო. ერთმანეთისგან ბევრს ვსწავლობდით. ეს შინაგანი გრძნობებით ხდება. ხედავ, პარტნიორი რაღაცას კარგად აკეთებს, შენც გიჩნდება სურვილი უკეთესად გააკეთო.

ლამაზი სპექტაკლები მქონდა ამერიკის საბალეტო თეატრში, სადაც ვიცეკვე ხოსე მანუელ კარენიუსთან და ფრანგ ელეგანტურ მოცეკვავესთან – გიომ გრაფანთან ერთად. დიდ თეატრში ორი პარტნიორი მყავს – ანდრეი უვაროვი და სერგეი ფილინი. მათთან ძალიან მიყვარს ცეკვა.

თბილისური პრემიერის რამდენად კმაყოფილი ხართ. რას იტყვით დებიუტანტ ნინო გოგუაზე?

„ჟიზელი“ კლასიკური და რომანტიული ბალეტია. ის იმდენად კარგად იყო დადგმული, რომ ვერავინ ვერ შეძლო მისი გაფუ-

ჭება. მართალია, ბევრი ნიუანსი დაიკარგა, მაგრამ ძირითადი ხაზი შენარჩუნებულია. ალექსეი ფადეევიტანის თბილისში განხორციელებული დადგმა ერთად მოვიფიქრეთ. ეს არის საკმაოდ მიახლოებული ვერსია ორიგინალთან. ყოფილი საბჭოთა კავშირის თეატრებში, ყველგან, ჯერ ლავროვსკის დადგმა მიდიოდა, შემდეგ – სერგეევის. შევეცადეთ, რომ ახალი ვერსია მიგვეახლოებინა იმასთან, რაც ევროპაში სრულდება. თუმცა, პა-დე-სიზი ახალია, და მიმაჩნია, უფრო გამართლებულია მისი ჩასმა. ბევრი რამ შეიცვალა პანტომიმის მხრივ. პანტომიმას ჩვენთან უყურებდნენ, როგორც არასაჭირო ელემენტს. დანიის სამეფო თეატრში როცა „სილფიდაზე“ ვმუშაობდი, მაშინ გავიგე, რა მნიშვნელობა აქვს მას ბალეტში. ჩვენ ჩამოვიყვანთ დანიელებს და დაგვდამთ სპექტაკლებს, სადაც დავინახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პანტომიმის ენას.

მეორე მოქმედება მთლიანად უცვლელია. შევეცადეთ, რომ იგი სინქრონული და ლამაზი ყოფილიყო. ახლა პრობლემა ის არის, რომ შევინარჩუნოთ კორდებალეტის ის დონე, რასაც პრემიერაზე მივალნიეთ და გავაუმჯობესოთ კიდევ.

რაც შეეხება ნინო გოგუას დებიუტს, ეს სარისკო ნაბიჯი იყო, რადგან მას არ ჰქონდა კლასიკურ ბალეტში მთავარი პარტიის შესრულების გამოცდილება. ამ ორ სეზონზე მან მნიშვნელოვანი წარმატებები მიაღწია, გაიზარდა, როგორც ბალერინა, გააუმჯობესა ტექნიკა. ძალიან კარგად შეასრულა სოლო პარტიები ბალანჩინის „აპოლონსა“ და „მოცარტიანაში“. ჟიზელშიც თავისებური სახე შექმნა, რაც ძალიან კარგია. ბუნებრივია, მაქვს შენიშვნები და იმედი მაქვს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ტექნიკურ მხარეს, რადგან შეუძლია. ძალიან მკაცრიც ვერ ვიქნები, რადგან მოსამზადებლად ცოტა დრო ჰქონდა.

მაყურებელს აინტერესებს, როდის იხილავს სცენაზე ნინო ანანიაშვილს.

ალბათ მიხილავთ, მაგრამ, როდის არ ვიცი!

საზოგადოებამ იცის, რომ თეატრი რემონტის გამო დროებით უნდა დაიხუროს. რას გეგმავთ მორიგ სეზონში, სად გაიმართება სპექტაკლები, რა სიახლეები გველის!

რემონტის პრობლემა გვიდგას, მაგრამ ყველანი შეთანხმებული ვართ, რომ თეატრს მანამდე არ დავხურავთ, სანამ არ მოვიფიქრებთ და გადავწყვეტთ, სად ვიმუშავებთ. დასის გაჩერება ყოვლად წარმოუდგენელია. 2007 წელს დაგეგმილია გასტროლები იაპონიასა და ამერიკაში. უფლება არ მაქვს, საქართველოს საბალეტო დასი უცხოეთში ისე გავიყვანო, რომ იგი ფორმაში არ იყოს.

ახალ სეზონში ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ მაყურებელს. ოქტომბერში შედგება ეშტონის ძალიან ლამაზი ბალეტის „ორი მტრედის“ პრემიერა. თანხმობა უკვე მივიღეთ ინგლისის სამეფო თეატრიდან (კოვენტ-გარდენიდან). რეპერტუარში ეს ბალეტი არავის არა აქვს. ვცდილობ, რომ სწორედ ისეთი სპექტაკლები ჩამოვიტანო, რომელიც ჩვენს მაყურებელს არასდროს უნახავს. ვაპირებთ ბურნოვილის „კონსერვატორიის“ დადგმას. ბურნოვილი დანიელი ბალეტმაისტერია, რომელმაც თავისი სკოლა შექმნა და ძალიან საინტერესოა. გეგმაში გვაქვს ალვადგინოთ ჭაბუკიანის „ლაურენსია“. აპრილში კიდევ ერთი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ. ეს იქნება თანამედროვე ერთაქტიანი ბალეტები. ჯერჯერობით არ დავასახელებ რომელი, რადგან უნდა ჩამოვიდნენ, ნახონ დასის მდგომარეობა და მოვიპოვოთ დადგმის უფლება.

ის სცენას

ჟიზელით

ლაიმზვიდოზა

ვერა წიგნაძემ სცენაზე ბოლოს ჟიზელი იცეკვა და ასე დაემშვიდობა მაცურებელს. ამის თაობაზე წინასწარ არავის გამოუცხადებია. იგონებენ, რომ ბალერინა იმ საღამოს მთელი თავისი მშვენიერებით, აკადემიზმითა და ჰაეროვნებით ცეკვავდა. ჟიზელი ყოველთვის იყო მისი საოცნებო სპექტაკლი და ამ როლმა, როგორც თავად აღნიშნავს, უდიდესი ნეტარება აგრძნობინა.

ვერა წიგნაძე ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. სწორედ ბედის წყალობა იყო, რომ იგი ვახტანგ ჭაბუკიანს შეხვდა. ამ დროს ჭაბუკიანი ბალეტ „სინათლის“ ახალი დადგმისათვის რომანტიული სტილის ბალერინას ეძებდა და იგი ბაქოს თეატრში აღმოაჩინა. ჭაბუკიანის დეპეშა ქალბატონ ვერას პირველად დაუმაღლეს. მაგრამ, ბაქოს თეატრის ადმინისტრატორმა მას ჩუმად გადასცა დიდი მანქანის მორიგი მონვევა. ჭაბუკიანი მას „დონ-კიხოტში“, „გედების ტბაში“, „ბახჩისარაის შადრევანში“ მთავარ პარტიებს სთავაზობდა.

„დანამდვილებით ვიცი, რომ ჭაბუკიანი ჩემით ბაქოელმა მოცეკვავემ სამოქალაქო და ანტიტერორსა, რომელიც იმ დროს თბილისში ცეკვავდა. ჩამოვედი თბილისში, ჩემმა ცეკვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დასზეც და თვით ჭაბუკიანზე. ჩემი დებიუტი შედგა „დონ-კიხოტში“. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო“, – იგონებს ქალბატონი ვერა.

1946 წელს ვერა წიგნაძე სამშობლოში დაბრუნდა და თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს. იგი ცეკვავდა ყველა წამყვან პარტიას კლასიკური და ეროვნული რეპერტუარიდან. მაგრამ მისი შემოქმედების გვირგვინი, მაცურებლის მესხიერებასა და ბალეტის ისტორიაში, დემონადემონას პარტიაა ა.მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“, რომელიც 1957 წელს დადგა ჭაბუკიანმა და თავად ასრულებდა ოტელოს პარტიას. მათ დუეტს მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული უმართავდა ოვაციას. მაია პლისცკაიამ მისი დემონას ნახვის შემდეგ განაცხადა, რომ „Ее Дездемона — это одухотворенная поэзия“. ცნობილია, რომ ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ვერა წიგნაძესთან საგრიმიოროში ლეგენდარული მსახიობი აკაკი ხორავა შევიდა, დიდხანს, დაკვირვებით უცქირა ქალბატონ ვერას და თქვა: „ო, როგორ მსურს, მეც ასეთი დემონა მყავდეს“.

ვერა წიგნაძის განუსაზღვრელ სამსახიობო ოსტატობას, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ჰაეროვნებას მაცურებელი მის ყოველ გამოსვლაში გრძნობდა. იქნებოდა ეს „გედების ტბასა“, თუ „ბაიადერაში“, „ჟიზელსა“ თუ „სინათლეში“, „მთების გულსა“ თუ „ბახჩისარაის შადრევანში“, „კონკიასა“ თუ სხვა სპექტაკლში. მის შემოქმედებაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ბალეტ „ლაურენსიას“, რომლის დადგმაც ვახტანგ ჭაბუკიანს ეკუთვნის.

ვახტანგ ჭაბუკიანის ეპოქის ბალეტის ვარსკვლავს, ქალბატონ ვერა წიგნაძეს კიდევ ერთხელ ვუძღვნით დიდ სიყვარულსა და თავყვანისცემას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!



მარად თანამედროვე და უკვლავი „ჭიზელი“

165 წლის წინათ პარიზში დადგმული „ჭიზელი“ ის გალეთია, სადაც მხოლოდ ფილიგრანული ტექნიკით, ზუსტად შესრულბული ნახტომებით და პირუთებით ვერ შეიძლება მაცურებლის მოხიზვლას. ყველაფერ ამას ორგანულად უნდა ერწყმოდეს სამსახირო მოსტატოვა, პანტომიმის ენით გადმოცემული სოფლელი გოგოს ისტორიის დრამატულობა.

დამდგამელი ქორეოგრაფი



ალექსანდრე ფადეევი რეჟისორი
ლადო მარნაძის ფოტო

„ჭიზელის“ პრემიერის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე სპექტაკლის დამდგმელი ქორეოგრაფი ალექსეი ფადეევი და მისი ასისტენტი ტატიანა რასტორგუევა კმაყოფილებას გამოხატავენ დასის მუშაობისა და იმ პირობების გამო, რომელიც აქ იყო შექმნილი:

„აქ საქმიანობა მართლაც შესანიშნავია. ურთიერთობა და საქმიანობა წინო ანანიაშვილთან ნამდვილი ბედნიერებაა. წინო ანანიაშვილს პირველად ძალიან დიდი ხნის წინ შევხვდი. იგი დიდ თეატრში ანდრის ლიუპასთან ცეკვავდა. მე და წინო მოგვიანებით დავმეგობრდით და თითქმის 10-11 წლის განმავლობაში ერთად ცეკვავდით. წინო არაჩვეულებრივი ბალერინაა, რომელმაც ზუსტად იცის, რა და როგორ მოიმოქმედოს სცენაზე. რაც შეეხება მას, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ეს სრულიად სხვა საკითხია. სულ სხვაა, როცა ხარ მოცეკვავე, და სხვა, როცა ხელმძღვანელის როლში ხარ. წინოს, როგორც ბალერინას, ალბათ, ძალიან უჭირს მხოლოდ ერთ ამპლუაში ყოფნა, მაგრამ არა უშავს, ნელ-ნელა უნდა განენყო იმისათვის, რომ გასწავლილი ხელმძღვანელობა. დარწმუნებული ვარ, წინო ამ საქმის მიმართაც საოცარი პასუხისმგებლობით იქნება გამსჭვალული. ეს ფიზიკურთან ერთად დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს. ის წარმატებები, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე იქნა მიღწეული, უდავოდ, წინოს დამსახურებაა. უამრავი ბალეტი დაიდგა, კლასიკურიც, თანამედროვეც. მოცეკვავეებსაც მიეცათ საშუალება ხშირად წარდგინონ მაცურებლის წინაშე. იმედი მაქვს, წინო ანანიაშვილი სწორად წარმართავს ქართული ბალეტის მომავალს.“

ბედნიერი ვარ, რომ შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოზე ჩემი აქ პირველი სტუმრობისას (გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა აქ მონვევით ვიყავი და სწორედ „ჭიზელში“ ვიცეკვე) შემექმნა, არათუ გაქარწყალდა, პირიქით, გაღრმავდა და განმტკიცდა.

თქვენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, რამდენიმე ბალეტის დადგმა განახორციელეთ, მათ შორის „გედების ტბა“ და „დონ კიხოტი“. ამჟამად „ჭიზელზე“ იმუშავებთ. რა სიახლეები შესთავაზებთ მაცურებელს?

„ჭიზელი“ კლასიკური ვარიანტით დადგით, უფრო საინტერესო რედაქციით. ოდნავ სახეცვლილია მიზანსცენები, მონაწილეთა გაცილებით მეტი რაოდენობაა პირველ აქტში. შეიძლება ითქვას, დეტალები ჩემი რედაქციითაა

შეცვლილი და დადგმული. გამოვიყენე დეტალები, რომლებიც მრავალფეროვანს ხდის ბალეტს. საერთოდ, არ მიყვარს მოსაწყენი ბალეტის ნახვა. მომწონს, როცა ბალეტი სანახაობრივად მშვენიერი, ლამაზი და ცოცხალია. მე ბალეტით პროფესიონალურად ვარ დაკავებული და ვცდილობ, ჩემს მიერ დადგმული ბალეტი იყოს ლამაზი და საყურებლად სასიამოვნო“.

საქეტაკლზა

მაგრამ, ყველაფერი მაინც მაყურებლის მონონებაზეა დამოკიდებული. საქეტაკლს ახლდა ოვაციები, და რა თქმა უნდა... აზრთა სხვადასხვაობა. ეს ბუნებრივიცაა. „ჟიზელი“ მარად ცოცხალი კლასიკაა. ბალეტომანებმა იმდენად ზუსტად იციან საქეტაკლის ლიბრეტო, რომ უმნიშვნელოდ შეცვლილ ნიუანსსაც კი გრძნობენ. ახალი საქეტაკლი კლასიკური ვერსიისაგან ძალიან განსხვავებული არ გახლავთ. პირველ მოქმედებაში ჩასმული პა-დე-დე შეიცვალა პა-დე-სიზით; ვილისების სცენა და მთელი მეორე მოქმედება თითქმის უცვლელია და მარიუს პეტიპას უკვდავ ვერსიას მიყვება.



ვილისების სცენა „ჟიზელიდან“, ლადო მარნაძის ფოტო

საპრემიეროდ საბალეტო დასმა ოთხი საქეტაკლი უჩვენა მაყურებელს, სადაც რამდენიმე წყვილმა იცეკვა – ნინო გოგუამ და დავით ხოზაშვილმა, ანასტასია გარიაჩევამ და ლაშა ხოზაშვილმა, ლალი კანდელაკმა და დავით ხოზაშვილმა, ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა. ამ ბოლო წყვილისთვის ჟიზელისა და ალბერის პარტიებში გამოსვლა სადებიუტო იყო.

ნინო გოგუას ჟიზელი მთელი საქეტაკლის მანძილზე ცხოვრობდა უბრალო სოფლელი გოგოს ცხოვრებით. მისი გმირი ნრფელი და შეყვარებული იყო. მაყურებლის კმაყოფილებას ინვესტა მისი ფართო სამსახიობო დიაპაზონი. ქოხიდან გამოსვლის პირველი სცენიდანვე იგი თავისუფალი და ჰაეროვანი გახლდათ. პირველი მოქმედების ბოლოს შესრულებული სიგიჟის სცენა კი იმდენად რეალისტური გამოუვიდა, რომ მაყურებლის დიდი ემოცია გამოიწვია. პირველ მოქმედებაში არჩეული ხაზი მან „ვილისების“ სცენაშიც გააგრძელა.

აქ იგი შურისმაძიებელ და ალბერის დაღუპვისათვის განწყობილ ვილისად კი არ წარმოგვიდგა, არამედ ბოლომდე ჰუმანური და სიყვარულისთვის თავგანწირული პიროვნება იცეკვა, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა ალბერს.

გრაფი ალბერის რომანტიული სახე პანტომიმისა და ცეკვის საუცხოო თანხმობაში მოაქცია მისმა ორივე შემსრულებელმა – დავით და ლაშა ხოზაშვილებმა. დავით ხოზაშვილის გმირს ახასიათებდა ჟესტების სიზუსტე, იმპროვიზაცია და სპექტაკლის დრამატურგიის სწორად გააზრება. ლაშა ხოზაშვილის გამოსახვის ხერხები კი შერწყმული იყო ქორეოგრაფიული ტექნიკის სისუფთავესთან, რომელსაც თან ახლდა სცენაზე განვითარებული მოვლენების ღრმა განცდა და გულწრფელობა. ალბერის ორივე შემსრულებელმა განსხვავებული ფინალური სცენა შემოგვთავაზა. ბალეტის კრიტიკოსთაგან მიჩნეულია, რომ „ჟიზელის“ ფინალი შეიძლება იყოს იმდენი, რამდენი მოცეკვავეც იცეკვებს ალბერს (და რამდენჯერაც), მაგრამ იგი თანხმობაში უნდა იყოს საქეტაკლის სიუჟეტის განვითარებასთან და ლოგიკურად აგვირგვინებდეს მსახიობის მიერ შექმნილ სახეს. დავით ხოზაშვილი, ჟიზელის გაუჩინარების შემდეგ, მოსასხამით ხელში გაემართა კულისებისკენ, ანუ იმ სიცოცხლის გაგრძელებისკენ, რომელიც მას ჟიზელმა აჩუქა. ლაშა ხოზაშვილის გმირი კი მუხლმოყრილი დარჩა ჟიზელის საფლავთან და ამით, ალბათ, ხაზი გაუსვა მარადიული სიყვარულისადმი მის ერთგულებას. გაუჩინარებული, ვილისად გარდაქმნილი ჟიზელი ხომ ისევ მასთან რჩება, რის სიმბოლოდაც ის თეთრი შროშნები აღიქმებიან, რომლებიც მთელი მეორე მოქმედების დრამატურგიას მიჰყვება. ეს თეთრი შროშნები ჯერ კიდევ მაშინ იძენენ დატვირთვას, როცა გრძელმოსახამნამოსხმული ალბერი, თეთრი ყვავილებით ხელში, ჰობოების მწუხარე „სიმღერის“ ფონზე შემოდის სცენაზე და თან „ემოციური გრიგალი“ უნდა შემოიტანოს. მიჩნეულია, რომ ეს სცენა საქეტაკლის მთელი კონცეფციის განმსაზღვრელია და მის სრულყოფაზე ჩვენს მსახიობებს ალბათ კიდევ ბევრი ფიქრი მოუწევთ.

ნინო ოჩიაური გამოცდილი მოცეკვავეა. მირტას პარტიის მისეული შესრულება ორგანულად იყო შერწყმული კორდებალეტის ცეკვასთან, რომელთა უნისონურ მოძრაობებში გადმოიცემოდა ვილისების ირეალური ყოფის საიდუმლო.

სწორად ჰქონდათ გააზრებული ჰანსის პარტია ირაკლი შენგელიასა და ევგენი გერასიმენკოს. საგანგებოდ გვინდა შევხებით კორდებალეტის შესრულებას. დღეს უკვე გამოკვეთილია, რომ ხაზის სიზუსტითა და შესრულების ჰაეროვნებით თეატრის კორდებალეტი კარგ ფორმაშია.

ღაიუტანტაბი

თეატრში ნინო გოგუას მოსვლა არაფრით არაა გამორჩეული სხვა მსახიობთა ბიოგრაფიისაგან. დამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და კორდებალეტში ჩარიცხეს. ბალეტისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე ჰქონდა (მამა – აბესალომ გოგუა ბალეტის მსახიობია). ხუთი წლისამ ოპერა „ქეთო და კოტეში“ ქართული იცეკვა. შემდეგ ნინო ანანიაშვილის ჟიზელი ნახა და გამაოგნებელი შთაბეჭდილება მიიღო.

თუთად ინახავს მის მიერ ნაჩუქარ ფოტოს წარწერით – „პატარა ნინოს დიდი ნინოსაგან“. მოგვიანებით მას მართლაც გაუმართლა, რომ ქალბატონ ნინოს ყურადღების ქვეშ მოექცა და გასულ სეზონზე ბალანჩინის ბალეტებში სოლო პარტიების შესრულება მიანდო.

ნინო გოგუა: „ბალანჩინი ჩემს ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრა. ამ ბედნიერმა მოულოდნელობამ საშუალება მომცა ბალანჩინის კლასიკას შევხვედროდი. ვფიქრობ, აქ უფრო ვისხნები. მართალია, ზუსტად ითხოვენ ხაზის დაცვას, მაგრამ მაინც გაცილებით სასიამოვნოა. ამაში დიდად დამეხმარა ბარტ კუკი. მან მასწავლა ყურადღება მუსიკის მიმართ, ის, რას ნიშნავს იცეკვო მუსიკა...“

„აპოლონში“ ნინო გოგუას ტერფსიქორას პარტიის შესრულება მსახიობის ავადმყოფობის გამო მოუხდა. „მოცარტიანაში“ უკვე სოლო პარტიაზე დაამტკიცეს. პრემიერის შემდეგ ტატიანა რასტორგუევამ წარმატება მიულოცა და დასის ხელმძღვანელობის აზრი გაანდო, რომ ჟიზელის პარტიის მომზადებას უნდა შესდგომოდა. ასეთ დროს ვერ გამოხატავს სიხარულს. ნინოს ყოველთვის აქვს იმედი, რომ ახალ სპექტაკლში რაღაც როლს მისცემენ, მაგრამ – ჟიზელი? ეს უკვე სერიოზული ნდობა იყო, თანაც პირველი კლასიკური სოლო პარტიის დებიუტი.

მუშაობა ბალანჩინის ახალი პროგრამის მზადების პარალელურად მიმდინარეობდა. ალექსეი ფადეეჩევიან და ტატიანა რასტორგუევასთან ერთად ჟიზელი სულ ორ კვირაში მოამზადა. საყურადღებო და სასარგებლო შენიშვნებს აძლევდა ნინო ანანიშვილი.

ნინო გოგუა: „პირველი დრამატული როლი იყო და ცოტათი გამიჭირდა. მქონდა კომპლექსები; ვმუშაობდი სახლშიც, ვნახულობდი სხვადასხვა ჩანაწერს, მაგრამ ვცდილობდი, ისეთი სახე შემექმნა, რომ ჩემი ულტიმუმი შემეტანა. ჯერ მხოლოდ ორი სპექტაკლი ვიცეკვე და ამის თქმა ალბათ ნაადრევია. პირველი აქტი რთულია, იმდენი გარდასახვაა. სიხარულს უცებ ცვლის გაცეკვა, სევდა, მწუხარება, შემდეგ სიციფე. ქალბატონი ნინოც მეუბნებოდა, რომ პირველი აქტისთვის მეტი ყურადღება მიმიქცია. პარტიორებში გამიმართლა“.

ალბერის როლი დებიუტი იყო ლაშა ხოზაშვილისთვისაც.

ბოლო ორი სეზონის მანძილზე მან თითქმის ყველა

პრემიერაში წამყვანი პარტია იცეკვა. ალბერი


მანაც მოკლე დროში მოამზადა ალექსეი

ფადეეჩევიან ერთად. სამ დღეში შეისწავლა კომპინაცია, მიზანსცენა.

ლაშა ხოზაშვილი: „ჟიზელი“ ჩემთვის ყველაზე ემოციური სპეტაკლი გამოდგა. მეორე მოქმედების ბოლოს ცრემლები მომდიოდა. თუ ამ სპექტაკლს საშუალოზე მაღალ დონეზე იცეკვებ, სხვა პარტიები უფრო კარგად გამოგივა. ამიტომ, ბევრს ვფიქრობ, როგორ დავხვეწო ჩემი გმირის თითოეული მოძრაობა, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაზე ვფიქრობ...“

მირტას როლში დებიუტი ჰქონდა შორენა ხაინდრავას, რომლის მიერ შექმნილ სახეში ნათლად იკითხებოდა გარდაცვლილი ქალწულების მბრძანებლის გაყინული სულის გამოხედვა და მბრძანებლური ჟესტები.

მხოლოდ ოთხი წარმოდგენით შეუძლებელი იქნება ბოლომდე შეაფასო „ჟიზელის“ ახალი სპექტაკლი, რომელიც თბილისში დაიდგა. სპექტაკლის სიცოცხლე წინაა, იმედი, წინ გვაქვს სოლისტებისა და კორდებალეტის კიდევ უფრო დახვეწილი შესრულება.



ის საბალეტო მინიატურა სტრავინსკის მუსიკაზე ბალანჩინმა სამ დღეში შექმნა. ერთხელ მან დასში გამოაცხადა, რომ ჰქონდა ნაწარმოები და სურდა მასზე შეექმნა ქორეოგრაფიული სურათი. ეს დუეტი უპირველესად ფორმით არის საინტერესო. სცენაზე დგას როიალი, პიუპიტრი მევიოლინის ნოტებისათვის, როიალს უკან კი დგანან სოლისტი მამაკაცი და ქალი, რომლებიც უსმენენ როიალსა და ვიოლინოზე შესრულებული მელოდიის პირველ ნაწილს (როიალის პარტიას ასრულებდა – თამარ მაჭავარიანი, ვიოლინოსას კი – ლელა მჭედლიძე).

ლაშო ვანანაძის ფოტო




Duo Concertant

ნაწარმოების მეორე ნაწილის შესრულებიდან კი სოლისტი ვაჟი სოლისტ ქალს იწვევს საცეკვაოდ. სოლისტი ქალი (ნინო გოგუა) პარტიორი მამაკაცის ნების დამყოლია. საერთოდ მიიჩნევენ, რომ ქალი აქ შესაძლოა იყოს მამაკაცის მოსწავლე, თავისი ბალერინა, რომლის „გაცოცხლებას“ ცდილობს მაესტრო, რათა გაუღვიძოს ემოცია, მაგრამ იგი სანაცვლოდ ვერაფერს სთავაზობს.

სოლისტი კაცის (ლაშა ხოზაშვილის) მიერ შესრულებული სწრაფი და რთული მოძრაობები განსაზღვრავს ამ დუეტის მთავარ ქორეოგრაფიულ ხაზს, იგი ცეკვავს ქალისთვის; არა, ჯერ მასთან ერთად ისმენს მელოდიას, ცდილობს ჩასწვდეს მას, გაიგოს, ხოლო შემდეგ ამ მელოდიას თითოეულ მოძრაობაში აცოცხლებს. ტრადიციულად „Duo Concertant“, როგორც ბალანჩინის სხვა ბალეტები, თბილისში ბარტ კუკმა დადგა. მან ზუსტად შეაჩრია სოლისტები ამ საბალეტო მინიატურის შესასრულებლად. ორივე მათგანისთვის ბალანჩინთან და სტრავინსკისთან შეხვედრა პირველი არ იყო. ამდენად, საკონცერტო დუეტის ქორეოგრაფიული ენა მათთვის რამდენადმე ადვილად დასაძლევად აღმოჩნდა, რაც აისახა კიდევ მათ შესრულებაზე.

ეს საუცხოოდ დადგმული დუეტი გენიალური მიზანსცენით მთავრდება: განათებით შექმნილ მთავრის დისკოში ისახება სოლისტი გოგონას სახე, შემდეგ ხელი, რომელსაც მამაკაცი ახებს თავის ხელს და შემდეგ თითქოს ქედს იხრის მტანჯველი სიყვარულის სევდიანი სიმბოლოს ნინაზე. დუეტის ასეთი ფინალი საყვარელი, მშვენიერი, ხელთუქმნელი ქალისადმი სიყვარულის გამოხატულებაა ჩაფიქრებული. კრიტიკოსს ანნა კისელგოფის სიტყვებით: „შეყვარებულმა მუხლი მოიყარა თავისი ქალური იდეალის ნინაზე, კავალერმა მუხლი მოიყარა თავისი პარტიორის (ბალერინის) ნინაზე, – ასეთია ბალანჩინის არტისტული იდეალი“. ასეთი ფინალი ბალანჩინმა პრემიერამდე ერთი დღით ადრე მოიფიქრა. დუეტის პირველ შემსრულებლებს – პიტერ მარტინსა და კეი მაზზოს, როგორც მოგვიანებით თავად აღნიშნავდნენ, თავზარს სცემდათ მათ თავზე შავად შემოხაზული შუქები, მაგრამ წარმატება გამოგნებელი აღმოჩნდა. პრემიერის შემდეგ, 1972 წელს, სცენაზე შეჭრილმა ლინკონ კირსტაინმა დუეტს „პატარა საუნჯე“ უწოდა. ეს „პატარა საუნჯე“ ახლა ჩვენი თეატრის რეპერტუარსაც ამშვენებს.



ქართული კინოდოკუმენტალისტი

ია ბედნიერ ქართველთა შორის, რომლებიც პირადად შეხვედრიან გენიალურ ჯორჯ ბალანჩინს, ქართველი კინოდოკუმენტალისტი თენგიზ მოდებაძეც გახლავთ. დღეს იგი ჩვენთან საუბარში სიამოვნებით იგონებს ამ დღეებს:

„1974 წლის შემოდგომაზე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიდად გამიმართლა, რადგან ამ გასტროლების კინოფირზე გადაღება და ფილმის მომზადება დამავალეს.“

ნიუ-იორკში ანსამბლი ექვს დღეს გაჩერდა და კონცერტები კარნეგი ჰოლში გამართა. დელეგაციას, მაშინდელი უშიშროებისა და სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, შინაგანი კულტურითა და არისტოკრატიზმით აღსავსე კაცი, თავადი გუგუელი ყიფიანი ახლდა, რომელიც მაშინ ფილარმონიის დირექტორი იყო. მას დიდი კონტაქტები ჰქონდა მთელ ქვეყანაში. სწორედ მან გამაცნო ნიუ-იორკში ჯორჯ ბალანჩინი.

მისტერ ბი თხელი, ჰაეროვანი, პროპორციული ტანის კაცი გახლდათ. კისერზე განუყრელი ფერადი კაშნეთი.

სამი დღის მანძილზე ბალანჩინთან არაერთი შეხვედრა მქონდა. ჩავინერე 45 წუთიანი ინტერვიუ, გადავიღე კადრები „ნიუ-იორკ სიტი ბალეს“ შემოქმედებითი ცხოვრებიდან. დავესწარი სპექტაკლს. მახსოვს, კულისებში ვიდექი და მინდოდა გადამეღო. თავად გამაფრთხილა, რომ ამის გაკეთება აკრძალული იყო. მერე ხელი მომკიდა, „ПОШЛИ, ПОШЛИ“ – მითხრა, ჰოლი გამატარა, იარუსზე ადგილი მიმიჩინა და მითხრა, რომ აქედან სპექტაკლი უფრო კარგი აღსაქმელიაო.

მთელი მისი ცხოვრება ამ საბალეტო დასთან იყო დაკავშირებული. აქ ატარებდა მთელ დღეს. საოცარი სურათის მომსწრე გავხდი. მისტერ ბი 6-7 წლის ბავშვებთან რეპეტიციას ატარებდა (იგი ხომ ბავშვობიდანვე ზრდიდა მოცეკვავეებს საკუთარი დასისთვის). დამთავრდა რეპეტიცია. მშობლებმა მოაკითხეს პატარებს. ბალანჩინი იდგა თეატრის კართან და ხელის ნელი მოძრაობით თითოეულ აღსაზრდელს ემშვიდობებოდა. ეს უღამაზესი სანახაობა იყო.

საბალეტო დასის სოლისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ბალანჩინის ქორეოგრაფიის სირთულისა და ვირტუოზულობის მიუხედავად, იგი მეტი ინდივიდუალობის გამოვლენის საშუალებას იძლევა. მისტერ ბის სრულიად განსხვავებული ხასიათის ცხრა ბალეტის დადგმამ მათი შესაძლებლობები მართლაც უკეთ წარმოაჩინა.

„ტარანტელას“ რეპერტიციებიდან სოლისტები ფიზიკურად ძალზე გადაღლილები გამოდიოდნენ. ეს მხიარული საბალეტო მინიატურა უდიდესი ენერჯის გაცემას მოითხოვს. პრემიერის შემდეგ კი ეს დაღლილობა სასიამოვნო განცდასთან იყო დაკავშირებული, რადგან ლუი მორო გოშტალკის მუსიკაზე დადგმულ სწრაფ და ტემპერამენტთან იტალიურ სახასიათო ცეკვას დიდი მონონება ხვდა.

1964 წელს სპეციალურად პატრისია მაკბრაიდისა და ედუარდ ვილელისათვის დადგმული ეს „პა-დე-დე“, ბა-

ტარანტელა

ლანჩინის ქმნილებათაგან დღეს ერთგვარ ჰიტადაა ქცეული. სწრაფი და თავბრუსმომხვევი მოძრაობების მიუხედავად, მასში თითქოს არაა დაკარგული იტალიური ფოლკლორის სული. თუმცა, ბალანჩინის შექმნილ მოძრაობებს ტრადიციულ „ტარანტელასთან“ ეფიქრობთ, ბევრი არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო.

ლალი კანდელაკმა და დავით ხოზაშვილმა ძალზე სწრაფი მოძრაობებით, იუმორისტული ყესტებით, თავბრუსმომხვევი პირუტყბითა და ფინალური კოცნით, ეს საბალეტო მინიატურა ენერჯიულად შეასრულეს.

მეორე წყვილი – ნინო ოჩიაური და გაბრიელ გოგუა თავიანთ ვარიაციებში (დუეტის იმის გამოც არის რთულად შესასრულებელი, რომ ვარიაციებს შორის არ არის დიდი შესვენებები) გამოხატულად ინდივიდუალურები იყვნენ. ბალანჩინის ამ ნომერში, ჩვენი აზრით, დასაშვებია განს-

ხვავებული საშემსრულებლო მანერა. რამდენიმე სიტყვით გვინდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა მსახიობის გაბრიელ გოგუას შესახებ (მამაკაცის ვარიაციის მეორე შემსრულებელი), რომელიც მოძრაობათა ზუსტი შესრულებითა და თავისუფალი იმპროვიზაციით გამოირჩეოდა. გაბრიელის გამოსვლები ამ ბოლო დროს (არა მარტო ამ დუეტში) უდაოდ იმსახურებს ყურადღებას.

ბალანჩინი და საქართველო

სტუმრად ბალანჩინთან

ჩვენი შეხვედრები თეატრში, მის ოთახში იმართებოდა. ეს ოთახი ოცდაათი კვადრატული მეტრიც არ იყო, რომელშიც როიალი იდგა, მასზე უამრავი ნიგნი და ალბომი ელაგა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს დაუძახეს: „არ მოიწყინოთ, ნიგნები დაათვალიერეთ!“ – დამიბარა. ნებართვა მქონდა და ამაზე უკეთესს რას გავაკეთებდი, გადმოვიღე ერთი მოზრდილი ალბომი, XIX საუკუნეში უნდა ყოფილიყო გამოცემული. ჩემდა გასაოცრად (და სასიხარულოდაც) იგი აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული ჩანახატები; ოთახში დაბრუნებულმა, ამ წიგნით ხელში რომ მნახა, მითხრა: „ЭТО МОЯ НАСТОЛЬНАЯ КНИГА“.

ჩვენი ანსამბლის გამოსვლას ამერიკაში დიდი წარმატება ჰქონდა. პრესა ნიუ-იორკში ასეთი სათაურით გამოდიოდა: „ნიუ-იორკში ჩამოვიდა ანსამბლი ბალანჩინის სამშობლოდან“. ვინ იყო ბალანჩინი, ამერიკაში ამას განმარტება არ სჭირდებოდა. თავად ბოლო კონცერტს დაესწრო, რომლის შემდეგ სცენაზე ამოვიდა და ღიმილით ისმენდა გაეროში სსრკ წარმომადგენლის მალიკის საუბარს, რომელმაც არც იცოდა, ჩვენთან ერთად თავად ლეგენდარული ბალანჩინი თუ იმყოფებოდა (რომც სცოდნოდა, მაინც რა შეიცვლებოდა?). საღამოს ბალანჩინმა ანსამბლი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ფრანგულ რესტორანში დაპატიჟა. რესტორნისკენ რომ მივდიოდით, მითხრა:

– ცუდია, არა, ქართულად რომ ვერ ვლაპარაკობ?

– ნეტა თქვენნაირი ქართველები ბევრი გყვადეს და საერთოდ ნუ ილაპარაკებენ ქართულად, – ვუპასუხე. ეს ფრაზა, მოგვიანებით „ამერიკის ხმის“ გამოშვებაში გამოიყენეს“.

ბატონი თენგიზი სათუთად უფრთხილდება ჯორჯ ბალანჩინის მიერ ნაჩუქარ წიგნს „ნიუ-იორკ სითი ბალე“ მისტერ ბის ავტოგრაფით (იხილეთ ფოტოზე) და მის კაშნეს, რომელიც კისრიდან მოიხსნა და აჩუქა.

კინომასალა რეჟისორის ფილმებში („საგასტროლო ქრონიკა“ და „ამერიკა: გზები და გზისპირები“) მთლიანად ვერ მოხვდა.

მას იმედი აქვს, რომ იგი დღის სინათლეს მაინც ნახავს თავის მომავალ ფილმში, არა მხოლოდ ბალანჩინზე, არამედ, ზოგადად, ქართულ ქორეოგრაფიულ ფენომენზე!

მაღალი, ათლეტური აღნაგობის, ძეგრი, კლირი ნახტომით, – ასეთია იგორ ზელენსკი, მარიას თეატრის პრემიერი, რომელიც თბილისს ერთი კვირით სტუმროვდა.



იგორ ზელენსკი

იგორ ზელენსკი თბილისში დედასთან ერთად ჩამოვიდა და აეროპორტიდან პირდაპირ თეატრში მოვიდა. სცენაზე ახალი ბალეტის – „რომეო და ჯულიეტას“ რეპეტიცია მიმდინარეობდა. კულისებში მან უამრავი ნაცნობ-მეგობარი ნახა. მას ხომ პირველი წარმოდგენა ბალეტზე ამ თეატრში შეექმნა. ახლა იგი საგრიმიოროში ზის და თბილისურ წლებს იგონებს:

„ამ ქალაქში გავატარე ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები. საბალეტო სასწავლებელში პატარა მიმიყვანეს; შემთხვევით, როგორც უმეტესად ხდება ჩვენს ბიზნესში. ბიჭების დეფიციტი ბალეტში ყოველთვის არის. 8 წლის ასაკში არც ერთმა მათგანმა არ იცის, უნდა თუ არა მომავალში ამ გზას გაჰყვეს. ცოტა ხნის შემდეგ მოსკოვში ან ლენინგრადში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას. ამ დროს გავიგე, რომ ჩვენს კლასს ჭაბუკიანი აიყვანდა. იგი უნიკალური პიროვნება გახლდათ; პირველ რიგში არტისტი იყო, შემდეგ — ბალეტმაისტერი და პედაგოგი. ასეთი სინთეზი იშვიათია. მასთან მუშაობის სამი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ის საქმე იყო, რომელსაც მთელ ცხოვრებას მივუძღვნიდი“.

და, ზელენსკიმ სერიოზულად მოკიდა ხელი მეცადინეობას. პეტერბურგში წასვლა თავად ჭაბუკიანმა ურჩია და ახლობელთან ზარიც გააკეთა. მარიას თეატრში სტაჟიორად აიყვანეს. ორწლიანი მომზადება გაიარა და თეატრში დატოვეს. წელიწადნახევარში მთელ კლასიკურ რეპერტუარს ცეკვავდა. 1990 წელს საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ლაურეატის წოდება მოიპოვა. წინადადებებიც აქედან წამოვიდა. კოვენტ-გარდენის სამეფო თეატრის დირექტორმა შაფტუსმა თავისთან მიიწვია. მაგრამ შაფტუსი მალე თეატრიდან გაუშვეს და იგი Deutsche opera-ს დირექტორი გახდა. ზელენსკიც იქ წავიდა და მის წინ

საქონი – იმისა ზელენსკისთვის ვაჩნაბის ფოტო

თანამედროვე ქორეოგრაფიის საინტერესო სამყარო გადაიშალა. აქ გაცნობი იგი ბალანჩინის, ბუფარის, ნოიმაიერის, ფორსაიტის... ქორეოგრაფიას. ბალანჩინიც, პირველად აქ იცეკვა. ნიუ-იუორკში გასტროლებზე პიტერ მარტინსმა ნახა და თავისთან მიიწვია. ეს მის გეგმებშიც შედიოდა.

„მისტერ ბის გენიალურობამ მანჰეტენზე მიმიყვანა, რადგან მივხვდი, რომ მისი ქორეოგრაფია ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, მუსიკალური, არაორდინალური. პეტიპას შემდეგ ბალანჩინი მორიგი ნაბიჯია ჩვენს საქმეში. ისეთმა სახელებმა, როგორებიც არიან პეტიპა და ბალანჩინი, ბალეტს სამუდამო სიცოცხლე მიანიჭეს. ჩემი პრინციპია, ყველა სტილი დამატებითი აქცენტების გარეშე შევისწავლო. ასე აღმოვჩინე „ნიუ-იორკ სითი ბალეში“. ეს უნიკალური დასია მსოფლიოში. ბალანჩინმა საქმის ორგანიზაცია ისე ააწყო, რომ გადაკვეთა არ ჰქონოდა არც ოპერასთან, არც დრამატულ თეატრთან. მხოლოდ ახალგაზრდა ორგანიზმს შეუძლია აქაურ რიტმს გაუძლოს. „სიტი ბალე“ ოჯახი უფროა, ვიდრე კომპანია. აქ სტუმრები, გასტროლიორები არ მოსწონთ. ძნელია შენი სახელი ვარსკვლავად აქციო, რადგან სპექტაკლზე ყველა ერთნაირად მაღალ დონეზე ცეკვავს. შენ არ ხარ იმ საღამოს ვარსკვლავი“.

სითი ბალეში ყოფნის პირველ წელს ზელენსკი ბევრს დადიოდა გასტროლებზე და ცოტას ცეკვავდა ადგილზე. ეს მათ არ მოსწონდათ. მეორე სეზონზე ზელენსკიმ თქვა „OK“, შეწყვიტა მოგზაურობა, შვიდი წელი იცეკვა დასში და მსოფლიო პოპულარობასაც მიაღწია. შემდეგ ემტონისა და მაკმილანის ქორეოგრაფიის შესწავლად ინგლისის Royal ballet-ში ჩავიდა. იცეკვა „რომეო და ჯულიეტასა“ და „მანონში“ (მაკმილანის ქორეოგრაფია). დღესაც ამ თეატრის მონვეული სოლისტია და ხშირად გამოდის კოვენტ-გარდენის პრიმა-ბალერინასთან – დარსი ბასელთან ერთად.

ზელენსკი ბევრს მოგზაურობს იაპონიაში, ლათინურ ამერიკაში, იტალიაში... მაგრამ, ძირითადი დატვირთვა მარიას

თეატრში აქვს. მიმომხილველთა აზრით ზელენსკი ამ თეატრში „ჰაერს უხმოდ იპყრობს მთელი თავისი გულითა და ძალმოსილებით“.

ნიუ-იუორკში ზელენსკი სტენლი უილიამსს შეხვდა. მას ჭაბუკიანის გვერდით, ერთ ხაზზე აყენებს. უილიამსთან მუშაობა მისთვის ნამდვილი რევოლუცია იყო.

„იგი ამას წინათ გარდაიცვალა და ძალიან მაკლია. მე ვენდობოდი უილიამსს. მან მთლიანობაში მომიყვანა. ძალზე მომწონდა მისი ვაკუეთილები, რომელსაც ყოველდღიურად ვიღებდი. უილიამსმა გამიხსნა გონება აპოლონთან მიმართებაში“.

აპოლონი (ბალანჩინის ქორეოგრაფიიდან) ზელენსკის საყვარელი პარტიაა. იგი მის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. თბილისელი მაცურებლის წინაშე ზელენსკიმ ორ სპექტაკლში იცეკვა და მაღალი ხელწერა აჩვენა. სპექტაკლამდე ორი რეპეტიცია გაიარა. მუშაობდა თითოეული ნიუანსზე. იგი ზუსტად ფლობს ბალანჩინის ქორეოგრაფიულ ენას, ყურადღებიანი და სანდო პარტნიორია.

ცოტა ხნის წინ ზელენსკიმ ხერხემლის ტრავმა გადაიტანა. ყველაფრის დანყება თავიდან მოუხდა, შეძლო ისევ აღდგენა ფორმა:

„ჩვენი საქმიანობისთვის ოცდაოთხი საათიც კი საკმარისი არ არის. დრო ბალეტის გარდა არაფრისთვის“.

მრჩება. მაგრამ ჩვენი ბიზნესისთვის მთავარია იყო დიდი, პირველი, მბრძანებელი. სხვა შემთხვევაში უფერული ხარ. წარმატებისთვის მე ბევრი რა გავილე“.

37 წლის ვარსკვლავი დღეს თანამედროვე საინტერესო ქორეოგრაფიიდან ირჩევს მას, რაც მისთვის მისაღებია.

თბილისში ნინო ანანიაშვილის მონვევით ჩამოვიდა. ეს მათი თანამშრომლობის პირველი შემთხვევა არ არის:

„წინოსთან ძალიან ამაღელვებელი დამოკიდებულება მაქვს. ის ყოველთვის იყო ჩემთვის ბალერინის ეტალონი. პირველ რიგში იმიტომ, რომ მან სწორად ააგო თავისი საბალეტო კარიერა. ახლაც დარწმუნებული ვარ, სწორად წარმართავს იმ საქმეს, რასაც აკეთებს. მისი დიდი ცოდნა და გამოცდილება იშვიათია ჩვენს ბიზნესში. იგი ბრილიანტია ქვეყნისათვის. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყანა სხვა სიმაღლეზე გაიყვანონ და არა მარტო ხელოვნებაში. არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ მიმაჩნია, რომ მას შეუძლია ქვეყნის საერთაშორისო არენაზე გაყვანა“.

თეატრში შემოსვლისთანავე ივორ ზელენსკიმ იგრძნო შემოქმედებითი ატმოსფერო, რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რაც მას აქ ოთხი წლის წინ დახვდა.

წითელ დარბაზში ნინო ანანიაშვილს ესაუბრება. თბილისის საბალეტო სასწავლებელში გადაღებულ სურათს ვაწვდი. ელიმება. ვატყობ, რომ სიამოვნებს იმ დღეების გახსენება, როცა პირველ მოძრაობებს აკეთებდა; როცა მასზე ერთხმად ამბობდნენ – „ო, მას შეუძლია“; როცა მიხვდა – იმ სამყაროში შეაბიჯა, მისი ცხოვრება სხვანაირი რომ გახდა, თავად ივორ ზელენსკი კი – მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი.

ილია თაბვაძე

Arabesque



ირმა ნიორამ და ივორ ზელენსკი თეატრში ერთად ცეკვობენ. ფოტო იპტოს და ბალეტის თეატრის ბე ზემუდინ

დიდი თეატრის სოლისტები თბილისში

ფრედერიკ ეშტონის მიერ ინგლისის სამეფო თეატრში კონვენტ-გარდენში დადგმული ბალეტი „ამაო სიფრთხილე“ დღეს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების კლასიკადაა ქცეული. გასულ წელს თბილისში მისი დადგმა ეშტონის ბალეტების დადგმის უფლების მქონე ცნობილმა მოცეკვავემ და ბალეტმანისტარმა ალექსანდრ გრანტმა და პედაგოგ-რეპეტიტორად მოწვეულმა ემილიო მარტინსმა განახორციელეს. 3-6 აპრილს დასმა „ამაო სიფრთხილე“ კვლავ უჩვენა მაყურებელს; მთავარი პარტიები დიდი თეატრის სოლისტებმა ანასტასია გორიანჩევა (ლიზი), დიმიტრი ბოლოტინმა (კოლენი) და ბენადი იანიმმა (პეპი, ალენი) შეასრულეს. ჩვენ სპეციალისტების შეხვედრით გავსაუბრეთ მათ:

თქვენ წლების მანძილზე მუშაობდით ქალბატონ რაისა სტრუჩკოვას ხელმძღვანელობით. როგორ გაიხსენებდით ამ ბრწყინვალე პედაგოგს, მოცეკვავესა და პიროვნებას.

საოცრად გამიმართლა ჩემს საბალეტო მოღვაწეობაში, რადგან საბალეტო სასწავლებლის დამთავრებისთანავე მომიწია რაისა სტრუჩკოვასთან ურთიერთობა. მაშინ, ამ ყველაფერს ასე ძალიან ვერ ვაფასებდი. მასთან რამდენიმე წლიანმა თანამშრომლობამ უდიდესი გამოცდილება შემძინა. ეს ნამდვილად კარგი სკოლა იყო. იგი გახლდათ არაჩვეულებრივი პიროვნება, ზომიერად მომთხოვნი. გვასწავლიდა, რომ სცენაზე ბალერინას ყველაზე მეტად მოეთხოვება არტისტიზმი, შემდგომ – ტექნიკა. თავის მონაწილეებს, როგორც თავის ღვიძლ შვილებს, ისე გვეპყრობოდა.

რაისა სტრუჩკოვა იყო ნინო ანანიაშვილის პედაგოგი. აქედან ხომ არ იწყება თქვენი თანამშრომლობა?

მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ მეცადინეობაზე სწორედ ნინო ანანიაშვილმა შემამჩნია და ჩვენს პედაგოგს სთხოვა, ჩემთვის ყურადღება მოექცია. მას შემდეგ ნინოს თანადგომასა და მზრუნველობას მუდმივად ვგრძნობ. არასოდეს მტოვებს უყურადღებოდ, მაძლევს პროფესიულ რჩევებს და ხშირად პროფესიულ საიდუმლოებებსაც მიხსნის. რეპეტიციებზე ის ისეთი უშუალოა, თვითონ მიჩვენებს და მასწავლის ყველაფერს. „დონ კიხოტზე“ მუშაობისას უდიდესი დახმარება გამიწია. მახსენდება რაისა სტრუჩკოვა, რომელიც რეპეტიციებზე გვეუბნებოდა: „აი, ასე გვასწავლიდა ჩვენ ელიზავეტა გერდტი“, ნინო კი გვეუბნება: „აი, ასე გვასწავლიდა ჩვენ რაისა სტრუჩკოვა“. ეს ძალიან სასიამოვნოა, ბედნიერი ვარ და ვთვლი, რომ ამ ადამიანებთან შეხვედრით, ცხოვრებაში გამიმართლა.

კმაყოფილი ხართ თბილისში გამოსვლებით?

„ამაო სიფრთხილე“ ჩემი საყვარელი სპექტაკლია. დიდ თეატრში რამდენიმე წელია მასში ვცეკვავ. თბილისში პირველად პრემიერაზე ვიცეკვე, არაჩვეულებრივ მოცეკვავესთან, ლაშა ხოზაშვილთან ერთად. ჩვენ ვმონაწილეობთ

ანასტასია გორიანჩევა

დიდი თეატრის ნამყვანი სოლისტი

ლიზი – ანასტასია გორიანჩევა, კოლენი – დიმიტრი ბოლოტინი. „ამაო სიფრთხილე“. ლაშო მარჩაშვილის ფოტო



„დონ კიხოტში“, „ჟიზელში“. მინდა ხაზი გავუსვა მთელი ქართული დასის კეთილგანწყობას, ასევე მაყურებელს, რომელმაც უდიდესი სითბო მაგრძნობინა.

ჟიზელს დიდ თეატრში თქვენ ცეკვავთ როგორც გრიგორევიჩის, ასევე ვასილიევის რედაქციებში. რამდენად საინტერესოა ალექსეი ფადეეჩევის ახალი თბილისური დადგმა?

ძალიან მიყვარს „ჟიზელი“. დიდ თეატრში ორივე რედაქციით დადგმულ სპექტაკლში ვცეკვავ. ფადეეჩევის მიერ დადგმულ „ჟიზელში“ ძირითადი ხაზი იგივეა, მხოლოდ მცირეოდენი სახეცვლილებით მიწვევს ცეკვა. თბილისურ ვარიანტში განსხვავებული მიზანსცენებია, სანახაობრივად ულამაზესი ბალეტია.

გენაღი იანინი

დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი



სიმონა - ბილდი იანინი „ამაო სიფრთხილე“
ლალო ზახარაძე ფოტო

გენაღი, თქვენ უკვე მეორედ ხართ თბილისში და მონაწილეობთ „ამაო სიფრთხილეში“. მაყურებელს კარგად ახსოვს პრემიერაზე თქვენი გამოსვლა სიმონას (ბებია) როლში, ბრწყინვალე იმპროვიზაცია და შესრულება. რას გაიხსენებთ „ამაო სიფრთხილის“ თბილისური პრემიერის შესახებ?

ამ ბალეტში ორ როლს ვასრულებ და ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლია. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ისევე, როგორც ნეზისმიერი სოლისტი, საგასტროლო სპექტაკლის დროს ვგრძნობ. თითოეულ მსახიობს საკუთარი ხელწერა აქვს. დაარწმუნო კოლეგები უცხო დასიდან იმაში, რომ შენი ხელწერა საინტერესო და ლამაზია, ძალიან რთულია. თუ თბილისის საბალეტო თეატრის მსახიობები ამაში დაეარწმუნე, ჩავთვლი, რომ ბევრი რამ გავაკეთე.

თქვენი აზრი თბილისის საბალეტო დასზე, პარტნიორებზე, რომლებთანაც იცეკვებ „ამაო სიფრთხილეში“.

თბილისის საბალეტო დასი ახალგაზრდულია, მათთან მუშაობისას მუდმივად იგრძნობა ერთუზიანობის სიჭარბე, რაც, ჩემი აზრით, დასში ნინო ანანიაშვილის მოსვლითაა განპირობებული. რადგან შეუძლებელი იყო ქალბატონ ნინოს შრომის-მოყვარეობას, სხვა ღირსებებთან ერთად, გავლენა არ მოეხდინა ისეთ ახალგაზრდა და ტემპერამენტულ ადამიანებზე, როგორებიც ქართველი ახალგაზრდები არიან.

რაც გვეტყვი ნინო ანანიაშვილთან თქვენი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობების შესახებ.

ნინო ანანიაშვილთან ჩემი ურთიერთობა თეატრში მისვლისთანავე დაიწყო. მაშინვე მოგვიხდა გასტროლებზე წასვლა. ჩვენს თბილ ურთიერთობას ისიც განაპირობებს, რომ ჩემი მეუღლე ნინოს კლასელი იყო. გარდა იმისა, რომ ნინო დიდი ბალერინაა, იგი შესანიშნავი პიროვნებაა, თბილი, გულისხმიერი, რაც კარგად აისახება კოლეგებთან ურთიერთობებზე. ძალიან მსიამოვნებს, რომ იგი არ ივიწყებს თავის მეგობრებს დიდი თეატრიდან.

ანდრეი პოლოტინი

დიდი თეატრის სოლისტი

ანდრეი, თქვენ ხართ დიდ თეატრში კოლენის როლის პირველი შემსრულებელი ბალეტში „ამაო სიფრთხილე“. როგორ გაიხსენებდით ამ პრემიერას, რას იტყვით, საერთოდ ამ როლსა და სპექტაკლზე.

დიდ თეატრში „ამაო სიფრთხილის“ პრემიერა ძალიან საინტერესოდ და ცოტათი უჩვეულოდ შედგა. პირველ სპექტაკლში ჩვენი დასის წამყვან მოცეკვავეს სერგეი ფილინს უნდა ეცეკვა, მაგრამ პრემიერის დღეს მან ტრავმა მიიღო და მე მომიხდა მისი შეცვლა. ვიცეკვე საპრემიერო დღეებში და ბედნიერი ვარ იმით, რომ ეს იყო პირველი სპექტაკლი, სადაც წამყვანი პარტია შევასრულე. ჩემთვის ეს პრემიერა სადებიუტოც აღმოჩნდა.

რამდენადაც ვიცი, ეს თქვენი პირველი ვიზიტია საქართველოში...

პირველად ვარ საქართველოში, თბილისში. აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ აქ ძალიან უცხოა და არ ჰგავს რუსეთს. ეს უკვე საინტერესოა. ცუდია, რომ აქ ყოფნისათვის დრო ცოტა მაქვს, თორემ გაცილებით მეტს ვნახავდი და გავიგებდი. ბედნიერი ვიქნები, თუ შექნება საშუალება კვლავ ჩამოვიდე თბილისში და ვიცეკვო.

დიდ თეატრში თქვენ საშუალება გქონდათ, გეცეკვათ ბალანჩინის ქორეოგრაფია, შეასრულეთ გომბალკის „ტარანტელა“. თქვენი აზრი ბალანჩინის ქორეოგრაფიაზე და კონკრეტულად ამ სოლო პარტიაზე...

ძალიან მოხარული ვარ, რომ დიდ თეატრში იდგმება ბალანჩინი. ეს უდიდესი სიამოვნებაა, როგორც მოცეკვავის-სთვის, ისე მაყურებლისთვის. „ტარანტელა“, „სიმფონია დო მაჟორი“ უბრალოდ გადასარევიანია. ალბათ, სიტყვებით უძღური ვარ, გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება ამ ქორეოგრაფიის მიმართ.



სქექტაკლის ბიოგრაფია

მიხეილ ლავროვსკი „რომეო და ჯულიეტას“ რეჟისორი. 1982 წელი. თბილისი

შექსპირის ტრაგედიის – „რომეო და ჯულიეტას“ მიხედვით ბალეტის შექმნის იდეა გამოჩენილ რუს რეჟისორს სერგეი რადლოვს 1934 წელს გაუჩნდა, რომელიც ამ დროს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის (დღეს მარიას თეატრი) სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. თეატრმცოდნე ადრიან პიოტროვსკისთან ერთად მან მოამზადა მომავალი ბალეტის სცენარი, მუსიკის შექმნა სერგეი პროკოფიევმა დაიწყო. ბალეტის დადგმას კიროვის თეატრთან ერთად დიდი თეატრიც გეგმავდა.

1938 წელს კომპოზიტორი მოსკოვში შეხვდა კიროვის თეატრის საბალეტო დასის ახალ ხელმძღვანელს ლეონიდ ლავროვსკის. „თავიდანვე ვიგრძენი, რომ მუსიკა შეეხო ჩემს გულს და უმალ გახდა ჩემთვის გასაგები და ახლობელი, – იგონებდა შემდეგ ლავროვსკი, მუსიკამ გამიტაცა და დამიპყრო და უკვე მტკიცედ ვიცოდი, რომ ამ სპექტაკლს დავდგამდი, რაც ვუთხარი კიდეც პროკოფიევს“. იგი მიესალმა ამ გადაწყვეტილებას. თანაც, დიდმა თეატრმა ბალეტის დადგმაზე უარი განაცხადა.

ბალეტმეისტერმა წინასწარ შეისწავლა უზარმაზარი ლიტერატურული, ისტორიული, იკონოგრაფიული მასალა... მისი მეუღლე ელენე ჩიკვაიძე იგონებდა, რომ ლავროვსკის ამ პერიოდში შექსპირის სონეტები „პირზე ეკერა“. ყველაფერი ეს მას დაეხმარა ბალეტის დადგმაში. „ჩვენ უნდა ვიპოვოთ სხეულის ისეთი მოძრაობები, ისეთი ცეკვები, ისეთი პანტომიმური მოქმედებები, რომლებმაც უნდა შეცვალონ შექსპირის ტექსტი“, – ასეთი იყო ბალეტმაისტერის მიზანი. 1940 წლის 11 იანვარს კიროვის თეატრში შედგა „რომეო და ჯულიეტას“ პრემიერა (1938 წელს ბალეტი დაიდგა ქ. ბრნოში). მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ლეგენდარული გალინა ულანოვა (ჯულიეტა), კონსტანტინ სერგეევი (რომეო), ანდრეი ლოპუხოვი (მერკუციო), რობერტ ჰერბეკი (ტიბალდი).

მოსკოვის დიდ თეატრში ბალეტის პრემიერას მის მეორედ დაბადებას უწოდებენ (1946 წლის 28 დეკემბერი). ლეონიდ ლავროვსკი ამ დროს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. გალინა ულანოვაც უკვე დიდ თეატრში ცეკვავდა. რომეოს პარტია მიხეილ გაბოვიჩმა შეასრულა. ცნობილი

კრიტიკოსი იური სლონიმსკი აღნიშნავდა, რომ დიდ თეატრში სპექტაკლის მასიურმა სცენებმა სხვა გაქანება და მონუმენტურობა შეიძინა. ახალ ვერსიაში მასიური სცენები უფრო დრამატული და ლაკონური გახდა.

1956 წლის 3 ოქტომბერს, მოსკოვური პრემიერიდან ათი წლის შემდეგ, სპექტაკლი ლონდონის სამეფო თეატრის სცენაზე წარმოადგინეს. დიდი თეატრის ისტორიაში ეს პირველი საზღვარგარეთული გასტროლები იყო. მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი მარგო ფონტინი აღტაცებას ვერ ფარავდა სპექტაკლის გამო: „არასდროს აქამდე ჩვენ არ გვინახავს მსგავსი შესრულება. ეს – სასწაულია. ახლა მიხვდით, რა არ გვეყოფნის ჩვენ“.

„რომეო და ჯულიეტას“ ქორეოგრაფიული ვერსიები ეკუთვნით ჯონ კრანკოს, კენეტ მაკმილანს, იური გრიგოროვიჩს და სხვებს. მაგრამ ლეონიდ ლავროვსკისეული სპექტაკლი რჩება შედევრად ბალეტის ისტორიაში. იგი დღესაც წარმატებით სრულდება სხვადასხვა თეატრებში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე მიხეილ ლავროვსკიმ, ლეონიდ ლავროვსკისა და ელენე ჩიკვაიძის შვილმა, რომელიც იმ წლებში ჩვენს საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა, მამის ქორეოგრაფიის მიხედვით დადგა ერთმოქმედებიანი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პოემა – „რომეო და ჯულიეტა“, რომლის პრემიერა 1982 წლის 29 დეკემბერს გაიმართა (მხატვარი – თ. მურვანიძე, დირიჟორი ი. ჭიაურელი).

მიხეილ ლავროვსკიმ ახალი სპექტაკლი განტვირთა ზედმეტი ყოფითი დეტალებისაგან, რათა წარმოდგენის მსვლელობა უფრო დინამიური ყოფილიყო. წარმოდგენილ ვერსიაში სიყვარული ამარცხებდა შულს. მონტეკეებისა და კაპულეტების შერიგება რომეოსა და ჯულიეტას საფლავზე ხდებოდა და ფინალში ისინი გარდაცვლილთა სხეულებით ხელანვდილები მიემართებოდნენ სიყვარულით განათებული სინათლისაკენ.

რომეოს პარტია თავად ლავროვსკი ასრულებდა (ასევე ვლადიმერ ჯულუხაძე), ჯულიეტას კი – ნათელა არობელიძე და სვეტლანა გოჩიაშვილი ცეკვავდნენ.

დამღებელი მხატვარი სცენაზე ერთხელ ბამოვა

როცა ამ წერილს წაიკითხავთ, დამღებელი მხატვრისა და მისი გუნდის დამაინტვივოელი, მამრამ სასნიამოვმო სამუშაო დასრულებული იქნება. დაკორაციები უკვე სცენაზეა გადატანილი. მანამდე კი საშუალება მოგვცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის მესამე სართულზე შეგვეხედა, სადაც ახალი სპექტაკლის დაკორაციები იხატებოდა და დამღებელ მხატვარს, დავით მონავარდისაშვილს გავსაუბრებოდით:

” ოპერის თეატრის სივრცე იმდენად საინტერესოა სამოქმედოდ, მხატვრისთვის უფრო შემოქმედებითი სამუშაო ძნელად წარმოსადგენია. ეს სცენა საქართველოში ყველაზე დიდია და საშუალებას გვაძლევს ჩვენი იდეების ხორცშესასხმელად გამოვიყენოთ მოდელირების ყველა ხერხი (პოპ-არტი, კოლაჟი, ქანდაკება, ფერწერა...). ამიტომ, დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა პირველად შემომთავაზა სპექტაკლის გაფორმება (ეს გახლდათ ბალანჩინის „სიმფონიური ვესტერნი“). მას შარდენის ქუჩაზე უნახავს ჩემი ნამუშევრები, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს თეატრთან, სცენოგრაფიასთან. მაგრამ მან ეს გადანყვეტილება მიიღო და მისი დიდად მაღლიერი ვარ“.

დავით მონავარდისაშვილის, როგორც თეატრის მხატვრის, დებიუტი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა. მისი ბიძა, ცნობილი ბალეტმანის-ტერი ბექარ მონავარდისაშვილი ორ ერთაქტიან ბალეტს დგამდა – პროკოფიევის „ძე ცდომილსა“ და რიმსკი-კორსაკოვის „ესპანურ კაპრიჩოს“. სპექტაკ-

დავით მონავარდისაშვილი. იური მერიტოვის ფოტო





ფოტო: იუსულინა ღვინაძე

ლების სცენოგრაფია სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს მიანდეს. დათომ გააკეთა მაკეტი, ესკიზი, ორ თვეში კი ჯარში წაიყვანეს. მხოლოდ პრემიერაზე მოახერხა ჩამოსვლა. ნამუშევარი მოეწონათ. ეს იყო და ეს. თითქმის ორი ათეული წელი თეატრში აღარ უმუშავია.

ბალანჩინის „სიმფონიური ვესტერნის“ დადგმისას თბილისში სპეციალურად მოწვეულმა ბარტ კუკმა, ბალანჩინის ყოფილმა მოსწავლემ, მხატვარს შესთავაზა სცენაზე ისეთი გარემო შეექმნა, როგორც კინოვესტერნებშია. მხატვარს მისი ყმანვილობის კინოფილმი – „შესანიშნავი შვიდეული“ გაახსენდა და ისეთი დეკორაცია მოიფიქრა, რომ გრჩებათ განცდა ამერიკული სტილის სახლებიდან ეს-ესაა გამოვლენ ვინჩესტერებიანი კოვბოები. მოგვიანებით მან ეშტონის ქორეოგრაფიული შედეგის – „ამაო სიფრთხილის“ ვან კასტერნისეული დეკორაციის რეკონსტრუქციაზე იმუშავა (მხატვარ გოგა თანდაშვილთან ერთად). მიმდინარე სეზონის დასაწყისში კი მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ გააფორმა, რომელიც თბილისელთათვის კარგად ნაცნობმა ქორეოგრაფმა თრეი მაკინტაერმა დადგა (თბილისში ამ სპექტაკლის მსოფლიო პრემიერა გაიმართა).

„სპექტაკლის დეკორაციის მზადების დროს ვიგრძენი, რომ თანამედროვე განათება მჭირდებოდა. როდესაც სპექტაკლს კლასიკურ მანერაში აკეთებ, განათების სივრცე შეიძლება ისეთი სიმძაფრით არ დაგჭირდეს, როგორც კოლაჟურ, ავანგარდულ დეკორაციაში. აქ კი ამის აუცილებლობა გაჩნდა. თეატრში 50-იანი წლების განათების სისტემაა, რომელმაც არ მოგვცა საშუალება გადმოგვეცა ის, რაც ჩავიფიქრეთ. დეკორაციის საწყისი იდეა თრეი მაკინტაერმა შემოგვთავაზა. იგი იტალიელი აბსტრაქციონისტის, მონდრიანის ესთეტიკის მიხედვით შეიქმნა და გეომეტრიული ფორმებით ორ ფერში გაკეთდა“.

დავით მონაგარდისაშვილმა სულ ახლახან დაასრულა მუშაობა მორიგი საპრემიერო სპექტაკლის – სერგეი პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“-ს სცენოგრაფიაზე:

„ოთხი თვეა ამ სახელოსნოში ვცხოვრობ; მაყურებელს დეკორაციის სულ სხვა სისტემას ვთავაზობ. ძირითადი კონცეფცია დაზგურ ფერწერასა და ალორძინების ხანის იტალიურ მონუმენტურ ფრესკაზე ავაგე. შევისწავლე, გადავიკითხე ბევრი რამ. ლეონიდ ლავროვსკის ამ სპექტაკლში სტალინის ეპოქის სულისკვეთება ვიგრძენი. ყველაფერი გიგანტური და გრანდიოზულია. სწორედ ასეთი ბალებები იდგმებოდა მაშინ, 1940-იან წლებში. იმდენად რთულ საქმეს შევეჭიდე, იმდენად საპასუხისმგებლოს, რომ შედეგის მოლოდინში ძალიან ვლეღავ. მინდა იმ ასობით ადამიანის შრომას, რომლებიც სპექტაკლს ქმნიან, ჩემ მიერ შექმნილი დეკორაციები ორგანულად შეერწყას“.

ესკიზები დეკემბერში შეიქმნა. იანვრის შუა რიცხვებში, სხვადასხვა მხატვართა ნამუშევრებს შორის, საბალეტო დასის ხელმძღვანელობამ სწორად მისი ნამუშევარი დაამტკიცა. მას სრული კარტ-ბლანში მისცეს. სპექტაკლი დაახლოებით ორსაათნახევარს გრძელდება და თითქმის ყოველ 12-15 წუთში დეკორაცია იცვლება. მაყურებელს ძალიან დინამიური სანახაობა ელოდება. აქ ხომ ქალაქ ვერონას რეალური სურათის გაცოცხლება გადანყვიტეს. სწორედ, ამ გარემოში მოუწევთ შექსპირის გმირებად გარდასახვა საბალეტო დასის სოლისტებსა და კორდებალებს.

ოთხი თვის მანძილზე, ყოველდღიურად დამდგმელი მხატვარი 12-14 საათს მუშაობდა. ამ სამუშაოში ჩართული იყო თეატრის ყველა რგოლი – მომარაგების სამსახური, რამდენიმე დურგალი, მკერავი, შემდუღებელი, მოქანდაკე... ზოგი

თეატრში მუშაობს, ზოგიც – სპეციალურად მოიწვიეს. ყველაფერი კი თავს იყრის მხატვართან, ის გასცემდა ნახაზებს, იძლეოდა მითითებებსა და შენიშვნებს, აზუსტებდა დეტალებს, ამონებდა კონსტრუქციებისა და ბუტაფორიული ელემენტების მზადებას, აძლევდა მათ ზომებს, თარგებს... სპექტაკლისთვის სპეციალურად დამზადდა ავეჯი, ქანდაკებები, უამრავი წურჭელი, აბჯრები...

“ამ ოთხი თვის მანძილზე, არ ყოფილა შემთხვევა, თუნდაც ერთი წუთით გავჩერებულიყავით მასალის არქონის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით. ეს თეატრის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის დირექტორის გივი ბელელურის, მთავარი ინჟინრის ზურა ჩუბაშვილის დიდი დამსახურებაა. ყოველდღიურად გვერდით გვედგა საბალეტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა საკანდელიძე, რომელიც ნებისმიერ პრობლემას გვიგვარებდა. სამუშაოს მთელმა სიმძიმემ ჩემი ასისტენტის თემურ მელქუაშვილის მხრებზე გადაიარა“.

ძირითადი სამუშაოები აპრილის ბოლოსთვის უკვე დასრულებული იყო. ტილოზე შესრულებული დეკორაციების საერთო ფართობი 5300 კვადრატული მეტრია; დამზადებულია მყარი კონსტრუქციები, სახლები, მათი აივნები და ასასვლელი კიბეები. თითო სახლის სიმაღლე შვიდი მეტრია. ღმრთისმშობლისა და დანტეს ქანდაკებები ნატურალურ ზომებშია გაკეთებული;

მაისის დასაწყისში, სპექტაკლამდე, დეკორაციები სცენაზე გადაიტანეს. დამდგმელი მხატვარი თავად ადევნებდა თვალყურს სცენისთვის მათ მორგებასა და „ჩაცმას“. სამუშაოში განათების მხატვარიც ჩაერთო. შემდეგ მოცეკვავეები მიჩვევიან დეკორაციას, იგრძნობენ ყველაფერ ამას...

“ნინო ანანიაშვილის ძალისხმევით, ჩვენს თეატრში გრანდიოზული გეგმები ხორციელდება. ეს მხოლოდ ნიჭიერ ადამიანებს შეუძლიათ. ჩემთან თანამშრომლობისას მან ზუსტად გაიხსენა „რომეო და ჯულიეტა“ ყველა სპექტაკლი, რომელშიც თავად უცეკვია, რომ დამხმარებოდა და საყურადღებო რჩევები მოეცა. ბალეტი ხომ მარტო მხატვარი არ არის, რამდენ ადამიანს უნდა ესაუბროს, რომ საქმე ააწყოს...“

რაც არ უნდა დიდი დრო იყოს პრემიერამდე, სამუშაოები ბოლო წუთამდე გრძელდება... და როცა ფარდა დაეშვება, მაცურებელი ოვაციას გაუმართავს სპექტაკლს, დამდგმელი მხატვარი პრემიერის დღეს სცენაზე მისი გამოსვლის დროს დაელოდება. შემდეგ სპექტაკლებს კი დარბაზიდან ნახავს და სიამაყით ავესება გული, რადგან სპექტაკლის ხანგრძლივი სიცოცხლე მის შემოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული.

“ზაფხულის ლამის სიზმარის“ პრემიერამდე ვერ ვასწრებდით მბრუნავი საწოლის დამზადებას. ბოლო ორი ღამე პირდაპირ სცენაზე, ამ სალონში მეძინა. ბჭუტავდა სცენის მორიგე ნათურა...“

ეს დღე არასდროს დაავიწყდება დავით მონავარდისამვილს. თეატრიც უფრო შეუყვარდა და მისი საქმეც ამ თეატრში.

ილია თავაძარიძე

მარტის ბოლოს საბალეტო დასმა „დონ კიხოტის“ ორი წაროდგენა შესთავაზა მაცურებელს. გადაჭედული დარბაზი და ბალეტის მოყვარულთა ოვაციები გვარწმუნებენ, რომ შარშან დადგმული ბალეტის ეს რედაქცია მაცურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

პირველ სპექტაკლში მთავარი პარტიები ლალი კანდელაკმა (ჩელიტა) და დავით ხოზაშვილმა (ბაზილი) შეასრულეს, მეორე დღეს კი – ანასტასია გორიაჩევამ და ლაშა ხოზაშვილმა. აღსანიშნავია, რომ დიდი თეატრის წამყვანი სოლისტის – ანასტასია გორიაჩევასათვის თბილისის სცენაზე ჩელიტას პარტიაში გამოსვლა სადებიუტო იყო.

მაცურებელთა ოვაციები არ ცხრებოდა ლალი კანდელაკის ცეკვის შემდეგ – III მოქმედების პა-დე-დე-ში მის მიერ სოლო ვარიაციისა და ფუტეტების შესრულების შემდეგ მაცურებელმა იგი ექვსჯერ გამოიყვანა სცენაზე. მათი თხოვნით ლალიმ ეს ვარიაცია გაიმეორა და ისევ ბრწყინვალედ!





მარიამ ალექსიძე – მისთვის მთავარია საკუთარი ხელწერა

ალბათ, ბანალური იქნება მარიამ ალექსიძეს ჰკითხო, საიდან მოხვდა თეატრში და როდის შეუყვარდა ბალეტი. იგი ცნობილი ბალეტმაისტერის, ნეოკლასიკური ბალეტის ნოვატორის გოგი ალექსიძისა და ცნობილი ბალერინის მარინა გოდერძიშვილი-ალექსიძის ქალიშვილია და როგორც თავად ამბობს, ბავშვობიდან სულ თეატრშია. პირველი ნაბიჯები ცეკვაში ლეგენდარულ ადამიანებთან ურთიერთობას უკავშირდება. 8 წლის ასაკში მამამ სერგო ფარაჯანოვის ფილმის „აშიკ-ქერიბისათვის“ ცეკვა დაუდგა. ფარაჯანოვმა თავად ჩააცვა კოსტიუმი. ცეკვა მოკლე იყო და როცა მისი შესრულება დაასრულა, ფარაჯანოვმა ანიშნა გაეგრძელებინა. მარიამს იქვე მოუხდა იმპროვიზაცია. მოგვიანებით დიდი რეჟისორი უყვებოდა, რომ ფილმის პრემიერაზე, საზღვარგარეთ, მარჩელო მასტროიანმა მას ტაში დაუკრა.

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში თავდაპირველად სერაფიმა ვეკუა, შემდეგი კი ნინელ სილვანოვიჩი ასწავლიდნენ. ლოზანაში გამართულ საბალეტო კონკურსზე იგი ციურიხის საბალეტო სკოლის დირექტორმა გაიცნო და სასწავლებლად მიიწვია, სადაც ნატალია მაკაროვას სტიპენდიატი იყო. სამი წლის შემდეგ ახალგაზრდა ბალერინა ციურიხის თეატრის დასში, ევროპაში ცნობილმა ქორეოგრაფმა ჰაინც შპოერლიმ მიიწვია.

თბილისში მისი დებიუტი 1999 წელს „ჟიზელში“ შედგა. მან მირტას პარტია მარინა ალექსიძის ხელმძღვანელობით მოამზადა. მარიამს უნდა დაემტკიცებინა საკუთარი შესაძლებლობები. ევროპაში ხომ სულ სხვა სტილს ცეკვავდა. თანაც, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის შვილს ყველას იმედები უნდა გაემართლებინა. ამჯერად მარიამი ირინა ჯანდიერთან ერთად მუშაობს.

მას არა აქვს გამორჩეულად საყვარელი ან საოცნებო პარტია. უყვარს სიახლეები, ახალ სპექტაკლზე, ახალ სახეზე მუშაობა. ბალანჩინის ქორეოგრაფიის პლასტიკა უფრო ახლოა მის შინაგან სამყაროსთან. „საბალეტო დასის მოცეკვავეები ბალანჩინთან შესახვედრად ერთგვარად მომზადებულნი ვიყავით, რადგან ნეოკლასიკური სტილის ბალეტები ჩვენს თეატრში მაშინ იდგმებოდა (სსრკ სივრცეში პირველად), როცა თეატრის დარბაზი გაყინული იყო და ხელთათმანებითა და თავზე ქუდებით დავდიოდით. მამამ ბოლო სეზონზე ჰინდემიტის „ოთხი ტემპერამენტი“ დადგა, მაგრამ უსახსრობის გამო სპექტაკლი მაყურებელმა ვერ ნახა. ასეთი შემთხვევა ბევრი იყო. ნინო ანანიაშვილმა მიაღწია იმას, რომ ბალეტს დაფინანსება გაუჩნდა, ყურადღება მიექცა.“

მარიამ ალექსიძეს დასში დღეს წამყვანი პოზიცია უკავია, მაგრამ მისთვის რიგითი ადგილი კი არ არის მთავარი, არამედ საკუთარი ხელწერა, ინდივიდუალობა, რომელიც ყოველ სპექტაკლში ზუსტი და გასაგებია, ორგანულად ერწყმის ქორეოგრაფიულ გადაწყვეტას. პლასტიურობა და შინაგანი ხიბლი მას ეხმარება ზუსტად უპასუხოს დამდგმელი ქორეოგრაფების დასმულ ამოცანებს.

ცესლოვანი ესკულა მიხეილ მენაბდის შესრულებით

პირველი საბალეტო შთაბეჭდილება „ჟიზელზე“ მიიღო, სადაც ალბერის პარტიას ზაქარია ამონაშვილი ცეკვავდა. მოხდა ისე, რომ სწორედ ის გახდა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიხეილ მენაბდის მასწავლებელი. სწავლის პირველსავე წელს, სასწავლებლის გამოსაშვებ საღამოზე გამოვიდა და „კარმენ სიუიტიდან“ პატარა ესპანური ცეკვა შეასრულა. ძალიან არ უნერვიულია, რადგან სცენის შიში არ ჰქონდა. მას შემდეგ სახასიათო ცეკვებს ასრულებს. მიშა თეატრში 1996 წლიდან ცეკვავს. მოგვიანებით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, გოგი ალექსიძის ხელმძღვანელობით, საბალეტმაისტერო განხრით სწავლობდა. არასოდეს ჰქონია საოცნებო პარტიები. ყოველთვის ასრულებს იმას, რაც კარგად გამოსდის. უპირატესობას ნეოკლასიკურ, თანამედროვე ქორეოგრაფიას ანიჭებს. „კლასიკის გვერდით იგი აუცილებლად უნდა იდგმებოდეს, თანაც მათი შექმნის პროცესი უშუალოდ აქ, თეატრში უნდა მიმდინარეობდეს!“ – ამბობს იგი და სასიამოვნოდ იგონებს გოგი ალექსიძესთან თანამშრომლობას. მანქანით მისთვის სპეციალურად შექმნა „დიპლოპიტო“ ყანჩელის მუსიკაზე. თავადაც აქვს მცდელობა პატარა ქორეოგრაფიული მინიატურები შექმნას. დრამატული თეატრის ქორეოგრაფიაშიც მოსინჯა ძალები (დავით საყვარელიძის მიერ კინომსახიობთა თეატრში დადგმულ „ტარტიუფში“).

ანა გურაძელის ჰაეროვანი ოდეტა-ოდელია

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მაშინ მივიდა, როცა გამოცდები დამთავრებული იყო. ანა დამატებით შესარჩევ კონკურსზე თავად ვახტანგ ჭაბუკიანმა გამოსცა და ჩარიცხა. მარგალიტა ზერცალოვას, სვეტლანა გოჩიაშვილისა და ანა წერეთლის მოსწავლე 1997 წელს თეატრში სტაჟიორად მიიღეს. შემდეგი სამი წელი ანა თურქეთის ქ. მერსინის თეატრში გამოდიოდა და წამყვან პარტიებს ნუკრი და მედეა მაღალაშვილების ხელმძღვანელობით ამზადებდა. სწორედ აქ იცეკვა მირტა („წივილი“), შეჰერეზადა („ათას ერთი ღამე“)... თბილისში 2004 წელს დაბრუნდა და ნინო ანანიაშვილის წყალობით მისი საოცნებო ოდეტა-ოდელიას პარტია მიიღო „გედების ტბაში“. პრემიერის წინ ძალიან ღელავდა, რადგან წინა სპექტაკლებში ნადეჟდა გრაჩევამ და ლალი კანდელაკმა იცეკვეს. პასუხისმგებლობა დიდი იყო. მაღლიერია ირინა ჯანდიერის, რომელთანაც მოამზადა ოდეტა-ოდელიას ურთულესი პარტია. ლამაზი ფაქტურა, მოძრაობათა თავისუფლება და სილალე ორგანულად შეერწყა მის მიერ შექმნილ გედის სახეს. მაგრამ, რამდენიმე სპექტაკლი, რომელიც მან იცეკვა, არ იძლევა იმის საშუალებას, სრულად გადმოსცე საკუთარი შესაძლებლობანი. ამიტომ ახალგაზრდა ბალერინას წინ ბევრი საინტერესო სპექტაკლი ელის. ამ სეზონზე ანას კიდევ ერთი საპასუხისმგებლო პარტიის შესრულება მოუხდა. რატ-

მანსკის „სიზმრები იაპონიაში“ მან ქალი-გველი იცეკვა. ნინო ანანიაშვილისათვის შექმნილი ეს პარტია შესასრულებლად საკმაოდ რთულია, მაგრამ ანამ ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. დასამახსოვრებელი იყო მის მიერ შესრულებული სოლო პარტიები მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარსა“ და გლიუკის „ჩაკონაში“.

დასის წამყვან სოლისტს კლასიკური ქორეოგრაფია უფრო აინტერესებს და საოცრად გაუმართლა, რომ ახლა ჯულიეტას პარტიას ამზადებს ახალი სპექტაკლისთვის.



შეიძლება ითქვას, რომ მიშა მენაბდის სავიზიტო ბარათი ბალეტში ესპადაა „დონ კიხოტიდან“. მისი შესრულება გამორჩეულია ხასიათის მასშტაბურობით, იმპროვიზაციითა და ტორეადორის ენერგიული ცეკვის მანერით, რომელიც უშუალოდ მისია და ამითაც გამოარჩევს სხვა შემსრულებლებისგან. მაყურებელს ასევე ხიბლავს მისი ესპანური ცეკვა „გედების ტბიდან“. მიშამ ამ სეზონზე ბალანჩინის „მოცარტიანასა“ და რატმანსკის „სიზმრები იაპონიაში“ იცეკვა. ახლა ტიბალტის პარტიას ამზადებს „რომეო და ჯულიეტაში“.

ბალეტთან ერთად მას სხვა გატაცებაც აქვს. მეასტრო გოგი ჭიჭინაძესთან სადირიჟორო ხელოვნებას ეუფლება. უნდა ამ საქმეში თავისი სიტყვა თქვას, თუმცა აქამდე დიდი გზა აქვს გასავლელი. მანამ კი, სცენაზე კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ ენერგიული, ცეცხლოვანი ესპანელი ტორეადორის ცეკვას მიშა მენაბდის შესრულებით.

ნინო ანანიაშვილის ფონდის პირველი ღონისძიება

ნინო ანანიაშვილის ინიციატივით დაწყებული საქველმოქმედო აქცია – „ხელოვნება – ბავშვებს!“ გრძელდება. 6 აპრილს საბალეტო დასმა სოციალურად შეჭირვებული ბავშვთა კონტინგენტი სპექტაკლ „ამაო სიფრთხილეზე“ მიიწვია. 20 აპრილს კი გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი გამართა. ეს კონცერტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი ნინო ანანიაშვილის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული და მის პირველ ღონისძიებას წარმოადგენდა. თეატრის ფოიეში გამოიფინა კულტურის ცენტრის მაკეტები, რომელიც ორთაჭალაში აიგება. აქ განთავსდება საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი, სკოლა-ინტერნატი და სხვა კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებები. პროექტის ავტორები როგორც ქართველი, ასევე უცხოელი არქიტექტორები არიან.

კონცერტზე ფონდმა თბილისის, წყნეთის, კოჯრის ბავშვთა სახლების, ახალდაბის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები, ინვალიდი და დევნილი ბავშვები მოიწვია. 800 ნორჩი მაყურებლის დასწრება ამ ღონისძიებაზე „საქართველოს მინსა და მინერალური წყლების კომპანიაში“ ითავა. კომპანიის გენერალური დირექტორის ზაზა კიკვაძის განაცხადებით, ისინი მომავალშიც აპირებენ თანამშრომლობის გაგრძელებას ნინო ანანიაშვილის საქველმოქმედო ფონდთან და საბალეტო დასთან.

საინტერესო იყო საკონცერტო პროგრამა. ნინო ანანიაშვილმა მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ შემოთავაზებული პროგრამის აგება ერთი სურვილითაა გამოწვეული – ბავშვებს და მოწვეულ სტუმრებს აჩვენონ, რა გზა უნდა გაიაროს მოცეკვავემ, დიდ სცენაზე გამოსასვლელად რომ არის საჭირო.

ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის I და II კლასის მოსწავლეებმა კლასიკური ცეკვის საწყისი სავარჯიშოები წარმოადგინეს (პედაგოგი მარგარიტა ზერცალოვა), V კლასისა და I კურსის მოსწავლეებმა მენდელსონის „რონდო კაპრიჩიო“ შემოგვთავაზეს (დამდგმელი ქორეოგრაფი ნუკრი მალალაშვილი), მაყურებლის მონონება ხვდა წილად პა-დე-დეს მინკუსის ბალეტ „კორსარიდან“, რომელიც სასწავლებლის II კურსის მოსწავლემ თამარ ჯაშიაშვილმა და დასის მსახიობმა არტურ ივანოვმა შეასრულეს (რეპეტიტორი ლარისა ჩხიკვიშვილი). კონცერტს ხიბლი შემატა თეატრთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლამ (ხელმძღვანელი თამაზ გოგოტიშვილი). მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა ცნობილი ერთ-აქტიანი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე“.

საქველმოქმედო კონცერტს საქართველოს პრეზიდენტი მიხილ სააკაშვილი დაესწრო.



ქართულ ბალეტს მეგობრები მოუმრავლდნენ

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება, რომლის პრეზენტაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 6 აპრილს გაიმართა, მეიდა მაკლარენის, მარიელა ტეფტის, ლილი ჰაუფის, ინა პატარკაციშვილისა და ირინა ხომერიკის ინიციატივითა და თეატრის გენერალური დირექტორის დავით საყვარელიძის მხარდაჭერით შეიქმნა. საზოგადოების წევთა წლიური შესატანი სამ წრედ არის გაყოფილი – ბრინჯაოს წრეში ინდივიდუალური შესატანი 100 ლარია (წყვილისთვის 180 ლარი), ვერცხლის წრეში – 250 ლარი (450 ლარი), ოქროს წრეში – 400 ლარი (შესაბამისად 720 ლარი). დამფუძნებელთა დახმარებით, თეატრში მოეწყო სარკეებიანი, VIP დარბაზი, სადაც საზოგადოებაში განვერიანებულ პირებს ანტრაქტის დროს შეეძლებათ შეხვედრების გამართვა, საუბარი, მოსვენება. ისინი ასევე დაესწრებიან გენერალურ რეპეტიციებს, მოწვეულ ბალეტმაისტერთა მასტერ-კლასებს, ნინო ანანიაშვილის სტუდიო-რეპეტიციებს; ისარგებლებენ შეღავათებით ბილეთების დაჯავშნის დროს.

პრეზენტაციაზე მოწვეული სტუმრები მიესალმნენ ასეთი საზოგადოების შექმნას, რომელში განვერიანებით თითოეული ადამიანი თავის წვლილს შეიტანს ქართული ბალეტის განვითარებაში. ნინო ანანიაშვილმა მაღლობა გადაუხადა შეკრებილთ ქართული ბალეტის მხარდაჭერისთვის. ამ დროისათვის წევრობის სურვილი უკვე გამოთქვა 23 პირმა:

ოქროს წრე: მარიელა და ჯონ ტეფტები, ლილი ჰაუფი, მარკ ჰაუფი, მეიდა და დონალდ მაკლარენები, ინა პატარკაციშვილი, ნენსი ჰარისი, ვახტანგ ანანიაშვილი, გრიგოლ ვაშაძე, სარა ვილიამსონი, გიორგი ჭირაქაძე, ჯუდი ტისენი, ჯუმბერ ბერაძე, ჯინჯერ მინგესი, ვირჯინია მინგესი (ხსოვნისთვის); **ვერცხლის წრე:** ტერეზა გიბსონი, მარკ კირბი; **ბრინჯაოს წრე:** სტეფან შტრუსერი, ნინო სვანაძე, ცირა ჭელიძე, ინა ბადაჩი, ნელი და ელდარ შენგელაიები, დებორა მილერი.



